საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030111665256318

№ 01-141/მ **08 / ივნისი / 2018 წ.**

დავით სერგეენკოსა და სოფიკო ბელქანიას მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, ესტონეთში, ქალაქ ტალინში, დაგეგმილ მაღალი დონის შეხვედრაზე (თემა: „ჯანდაცვის სისტემა კეთილდღეობისა და სოლიდარობისთვის“ ღონისძიება ასევე ეძღვნება ტალინის ქარტიის ხელმოწერის ათი წლის იუბილეს), ასევე ტალინში ვიზიტის ფარგლებში (ორმხრივი შეხვედრა ესტონეთის ჯანდაცვისა და შრომის მინისტრთან ქალბატონ რინა სიკუტთან და ბელგიის სამეფოს სოციალური დაცვისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მინისტრთან ქალბატონ მაგი დე ბლოკთან) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გატარებული რეფორმების თაობაზე ინფორმაციის გაზიარებისა და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის 12 ივნისიდან 2018 წლის 15 ივნისის ჩათვლით, ესტონეთში, ქალაქ ტალინში, მივლინებულ იქნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - **დავით სერგეენკო** და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **სოფიკო ბელქანია.**

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მიმწვევი მხარე უზრუნველყოფს დელეგაციის წევრების მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯების ანაზღაურებას.

3. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აანაზღაუროს სადღეღამისო და სადღეღამისო ნორმის დანამატი (დავით სერგეენკოს).

საფუძველი: საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 6 ივნისის № 1/12330 და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 7 ივნისის N18600 თანხმობები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, სოფიკო ბელქანიას 2018 წლის 5 ივნისის №01-12568 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი დავით სერგეენკო